**თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ინტეგრირებული სწავლების საკითხები

# ს ი ლ ა ბ უ ს ი

**ფაკულტეტი** – *პედაგოგიური*

**სპეციალობა** – *ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**სასწავლო კურსის სტატუსი** – *სამაგისტრო, არჩევითი*

**ECTS** –5კრედიტი, კვირეული საკონტაქტო საათი – 3

**ლექტორი** – პედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე
საკონტაქტო ტელ. 593-53-35-27,
e-mail: natela_maglakelidze@yahoo.com
ელენე ფილაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი
საკონსულტაციო საათები - პარასკევი -14-16 სთ.

**სასწავლო კურსის მიზანი**–კურსის მიზანია, მისცეს სტუდენტს – საბაზო და საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს – პროფესიული განათლება; აღჭურვოს იგი სათანადო პედაგოგიური უნარ-ჩვევებით; მოამზადოს იგი სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მაღალ დონეზე სწავლებისათვის; გააცნოს მშობლიური ენის სწავლების როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე მეთოდები. კურსი შედგენილია იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ქართულ სკოლაში ქართული ენა არის არა მხოლოდ ერთ-ერთი სასწავლო დისციპლინა, არამედ სხვა საგანთა სწავლების საფუძველიც – პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და ექსპრესიული უნარ–ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ვითარდება. ის ქმნის ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის განვითარების მთელი შემდეგი პროცესი. კურსში გაძლიერებულია ყურადღება ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარების, ძირითადი სამეტყველო უნარ-ჩვევების ფორმირებაზე, ასევე–მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის (*"სწავლის სწავლება"*), კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

**სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობა** – სტუდენტის მოტივაცია,***"ქართული ენის სწავლების მეთოდიკა"*, *„ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა"***

**სასწავლო კურსის ფორმატი**–ლექცია, პრაქტიკუმი, საშინაო დავალება, პრეზენტაცია

**სწავლის შედეგები:**

| | **ზოგადი კომპეტენციები** | **დარგობრივი კომპეტენციები** |
|---|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება.** | იცნობს ეროვნული სასწავლო გეგმისა და | შეუძლია ლიტერატურული და ენობრივი მასალის ინტეგრირება |

| | | |
|---|---|---|
| | საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; | ტექსტზე მუშაობის პროცესში **შეუძლია** სანიმუშო გაკვეთილის სცენარის შედგენა ენობრივ-ლიტერატურული მასალის ინტეგრირებით |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** | შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება<br>**იცნობს** პილოტირებულ სახელმძღვანელობის აგების პრინციპებს და შეუძლია მათი პრაქტიკულად გამოყენება | **წარმოაჩენს** თავის დამოკიდებულებას სწავლების სადავო საკითხების მიმართ,<br>**შეუძლია** მოსმენილი გაკვეთილის შეფასება და ანალიზი,<br>**შეუძლია** სანიმუშო გაკვეთილის სცენარის შედგენა ენობრივ-ლიტერატურული მასალის ინტეგრირებით |
| **დასკვნის უნარი** | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადეკვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება<br>**შეუძლია** თავისი მოსაზრების დასაბუთება | დებატებისა და დისკუსიების დროს ლოგიკური დასკვნების გაკეთება. |
| **ღირებულებები** | გააჩნია პროფესიული პრინციპების დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარი. | ითვალისწინებს და პატივს სცემს სპეციალისტების აზრს, აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას. |

## სასწავლო კურსის შინაარსი:

| | |
|---|---|
| *I კვირა*<br>_________<br>*II კვირა* | **თემა:**<br>• საბაზო და საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის ინტეგრაციის პრინციპები, ამოცანები და მისი რეალიზების საშუალებანი<br>-----------------------------------------------------------------------------------------------------------<br>• საგნობრივი მიმართულებანი |
| III კვირა<br>_________ | **თემა** :<br>• ენა, როგორც აზროვნების საშუალება, ენის აქტიური გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლება, მოსწავლეთა სრულყოფილი ენობრივი განვითარება;<br>________________________________________________________ |

| | |
|---|---|
| –<br>IV კვირა<br>―――――<br>V კვირა | • ენის თეორიული და პრაქტიკული კურსის ურთიერთმიმართება, ფუნქციონალური გრამატიკის რაობა, ენის ძირითადი ასპექტები მხატვრულ ტექსტთან მიმართებით<br>――――――――――――――――――――――――――――――――――――<br>*პრეზენტაცია* |
| *VI კვირა*<br>--------------<br>*VII კვირა*<br>--------------<br>*VIII კვირა* | თემა:<br>• ენის სწავლების კომუნიკაციური ასპექტები, კომუნიკაციის ძირითადი ხერხები და სტარატეგიები, სოციალური ინტერაქცია და მისი რეალიზება ტექსტზე მუშაობის პროცესში<br>――――――――――――――――――――――――――――――――――――<br>• მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა, როგორც სიტყვის ხელოვნება; მხატვრულ ტექსტში გამომსახველობითი ხერხების ამოცნობა და შეფასება<br>――――――――――――――――――――――――――――――――――――<br>*შუალედური წერა* |
| *IX კვირა*<br>―――――<br>*Xკვირა* | თემა*:*<br>• ტექსტი, როგორც ენობრივი ერთეული; ძირითადი ცნებები, (ტექსტის თემა, სათაური, საკვანძო სიტყვები, ინტონაცია, დიალოგი მონოლოგი, ჟანრი...)<br>――――――――――――――――――――――――――――――――――――<br>• მეტყველების ტიპები, სტილი; აღწერა, თხრობა, მსჯელობა; ტექსტის ფუნქციური ტიპები (სასაუბრო, სამეცნიერო, ოფიციალურ-საქმიანი, მხატვრული, პუბლიცისტური) |
| *XI კვირა*<br>*XII კვირა*<br>―――――<br>*XIII კვირა*<br>―――――<br>*XIVკვირა*<br>*XV კვირა* | თემა:<br>• ენისა და ტექსტის ურთიერთმიმართება, გრამატიკის სწავლებაში ფუნქციურ-სემანტიკური მიდგომის უპირატესობა, ენობრივი მოვლენების შესწავლა ფუნქციონირების თვალსაზრისით ტექსტან მიმართებაში,<br>――――――――――――――――――――――――――――――――――――<br>• წერილობითი ტექსტის გრაფიკულ-გამომსახველობითი საშუალება<br>――――――――――――――――――――――――――――――――――――<br>პრაქტიკული მეცადინეობა:<br>• პილოტირებული სახელმძღვანელოების ანალიზი<br>――――――――――――――――――――――――――――――――――――<br>• სანიმუშო გაკვეთილის სცენარის შედეგენა<br>შუალედური წერა<br>*საბოლოო გამოცდა* |

შეფასების ფორმები:

შუალედური შეფასება- 60 ქულა:

- 2 შუალედური წერა-15X2=30 ქულა;
- სააუდიტორიო აქტივობები -4X5=20;
- პრეზენტაცია-10 ქულა

დასკვნითი შეფასება – 40 ქულა - ზეპირი

სულ –- 100ქულა

დადებითი მინიმალური შეფასების ზღვარი – 51 ქულა.

რესურსები:

**ძირითადი:**


1. **მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია**, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, 2006
2. **ნ. მაღლაკელიძე**, ზმნის სწავლება სკოლაში, 1997
3. **ნ. მაღლაკელიძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 2004
4. **ნ, მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები, 1997**


**დამატებითი:**


5. **რამიშვილი გ. დედაენის თეორია, 2002**
6. **ეროვნული სასწავლო გეგმა, 2009 წ**